საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1480-გ-2-201405191453

N 1480-გ 19/05/2014

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს

ასლი: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის

უფროსის ქალბატონ მაგდა პოპიაშვილს

ბატონო სერგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა მიმდინარე წლის 28 აპრილს თქვენი სახელით ფონდში შემოსული # 4027-01 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

2013 წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა სახელმწიფო ბიუჯეტით გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელა : გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში, კუმისში და თელეთში, კერძოდ განხორციელდა შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები; ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში და გამარჯვებში განხორციელდა შიდა გზების მოასფალტება და ფოლადაანთკარში ხიდის და ბოგირის მშენებლობა;

2013 წელს სახემწიფო ბიუჯეტით ჯამში 7.760 კმ გზის რეაბილიტაცია განხორციელდა.

2012 წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა სახელმწიფო ბიუჯეტით გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელა : ქალაქ ოზურგეთში კიტა მეგრელაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქალაქ ცაგერის თამარ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ახალქალაქიდან არგვას სამთო-სათხილამურო კომპლექსამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით ჯამში განხორციელდა 11.800 კმ გზის რეაბილიტაცია.

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 1,5 მლნ ლარი და საიდანაც ათვისებული იქნა 100%.

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 6.7 მლნ ლარი და ათვისებული იქნა სრულად- 100%.

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით სოფელ ფოლადაანთკარში განხორციელდა ხიდის და ბოგირის მშენებლობა;

რაც შეეხება იმას, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით რამდენი ხიდის რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი და რომელ ხიდებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები? 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით რამდენი გვირაბის რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი და რომელ გვირაბებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები? 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით რამდენი გვირაბის რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი და რომელ გვირაბებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები? ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტიპის სამუშაოებისთვის 2012-2013 წლებში სახელწმიფო ბიუჯეტიდან თანხა გამოყოფილი არ ყოფილა.

პატივისცემით,

ლანა ბერიძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახური